მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ოჯახზე არსებული გარკვეული ინფორმაციის ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის მიწოდების შესახებ

ქ. თბილისი 16 ივნისი 2017 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, **კობა სონღულაშვილის** სახით და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში - „გამგეობა“), წარმოდგენილი ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **გოჩა ქაჯაიას** სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი,

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სააგენტოს“ დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების, „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N25 დადგენილების გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი და საგანი

1. „გამგეობის“ მიერ „სააგენტოსგან“ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობისთვის (შემდგომში - „მონაცემთა სუბიექტი“) სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის დაფინანსების შეღავათის გავრცელების მიზნით;

2. წინამდებარე მემორანდუმის საგანია „სააგენტოს“ მიერ „გამგეობისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (შემდგომში - ,,ბაზა") რეგისტრირებული იმ ოჯახ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეული (შემდგომში - „სარეიტინგო ქულა“) არ აღემატება 100 000 ერთეულს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელსაც „სააგენტო“ უგზავნის „გამგეობას“ უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ოჯახის საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) ოჯახის სარეიტინგო ქულა;

გ) ოჯახის სარეიტინგო ქულის მინიჭების თარიღი;

დ) ოჯახის ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;

ე) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);
ვ) ოჯახის წევრის პირადი ნომერი;
ზ) ოჯახის წევრის სახელი;
თ) ოჯახის წევრის გვარი.

მუხლი 2. ინფორმაციის მიწოდების წესი

1. „სააგენტო" „გამგეობისთვის", ამ მემორანდუმის პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდებას უზრუნველყოფს მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2. „სააგენტო" უზრუნველყოფს პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდებას, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვისა, საანგარიშო თვის 20 (ოცი) რიცხვის მდგომარეობით (თუ აღნიშნული რიცხვი არასამუშაო დღეა, მაშინ მომდევნო სამუშაო დღის მდგომარეობით).

3. „სააგენტოს" მიერ „გამგეობისთვის" პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 3. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე „მხარეები" ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. **„სააგენტო" ვალდებულია:**

ა) ამ მემორანდუმის პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია (მონაცემები) ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვისა, მიაწოდოს „გამგეობას", საანგარიშო თვის 20 (ოცი) რიცხვის მდგომარეობით (თუ აღნიშნული რიცხვი არასამუშაო დღეა, მაშინ მომდევნო სამუშაო დღის მდგომარეობით);

ბ) მაქსიმალურად ხელი შეუწყოს და არ დაუშვას რაიმე დაბრკოლების შექმნა „გამგეობისთვის" პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდების დროს, გარდა კანონმდებლობით და/ან აუცილებელი საჭიროებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აუცილებელ საჭიროებას განსაზღვრავს „სააგენტო", რაც უნდა უკავშირდებოდეს კანონმდებლობით „სააგენტოზე" დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების პროცესში წამოჭრილ/არსებულ საკითხებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში გამოყოს „გამგეობასთან" საკონტაქტო პირი;

დ) კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე მემორანდუმის პირობები.

2. **„სააგენტო" უფლებამოსილია:**

ა) „გამგეობისგან" მიიღოს ინფორმაცია იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ მემორანდუმის პირობებზე, ცვლიან მემორანდუმის საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

ბ) შეაჩეროს პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება, თუ ეს განპირობებულია მისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასასწორებლად, აგრეთვე ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რის თაობაზეც აცნობებს „გამგეობას“;

გ) შეწყვიტოს პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის (მონაცემების) გაცემა, თუ მისთვის ცნობილი გახდა „გამგეობის“ მიერ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დარღვევის ფაქტ(ებ)ი;

დ) „გამგეობას“ მოსთხოვოს მემორანდუმის პირობების შესრულების მონიტორინგისათვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა.

3. **„სააგენტო“ პასუხისმგებელია** ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობებით, მხოლოდ საანგარიშო თვის 20 (ოცი) რიცხვის მდგომარეობით (თუ აღნიშნული რიცხვი არასამუშაო დღეა, მაშინ მომდევნო სამუშაო დღის მდგომარეობით) „ბაზაში“ დაფიქსირებული მონაცემების სისწორეზე.

4. „გამგეობა“ ვალდებულია:

ა) არ დაუშვას „სააგენტოსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა, (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

ბ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით;

გ) აცნობოს „სააგენტოს“ იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ მემორანდუმის პირობებზე, ცვლიან მემორანდუმის საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

დ) საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს „სააგენტოსთან“ საკონტაქტო პირი;

ე) დროულად განიხილოს „სააგენტოს“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს;

ვ) მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „სააგენტოს“ ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში;

ზ) მიაწოდო „სააგენტოს“ მის მიერ მოპოვებული ან მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება „სააგენტოს“ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში (მონაცემებში) არსებულ ხარვეზს ან მათ სრულყოფას;

თ) კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე მემორანდუმის პირობები.

5.„გამგეობა“ უფლებამოსილია „სააგენტოსგან“ მიიღოს პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია (მონაცემები), ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვისა, საანგარიშო თვის 20 (ოცი) რიცხვის მდგომარეობით (თუ აღნიშნული რიცხვი არასამუშაო დღეა, მაშინ მომდევნო სამუშაო დღის მდგომარეობით).

მუხლი 5. ფორსმაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე;

2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან მემორანდუმი შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

1. ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დამატებითი პირობები

1. წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით, მხარეები ვადასტურებთ, რომ „სააგენტო" არ არის პასუხისმგებელი და მას არ შეიძლება მოეთხოვოს პასუხი ისეთ შესაძლო ზარალზე და/ან ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს „გამგეობას" და/ან ნებისმიერ მესამე პირ(ებ)ს, რომელსაც „გამგეობა" უზრუნველყოფს, ან შეიძლება უზრუნველყოს, ან შეიძლებოდა უზრუნველყო რაიმე სახის სოციალური დახმარებით (ფულადი ან არაფულადი), რაც შეიძლება წარმოიშვას „ბაზაში" არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით „გამგეობის" მიერ განხორციელებული ქმედების ან უმოქმედობის შედეგად;

2. წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით „გამგეობა" ადასტურებს მზაობას საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში თვითონ უზრუნველყოს ნებისმიერი იმ ფიზიკური პირ(ებ)ის დაკმაყოფილება, რომელსაც შეიძლება მიადგეს რაიმე სახის შესაძლო ზიანი და/ან ზარალი, „გამგეობის" მხრიდან განხორციელებული რაიმე მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, რაც უკავშირდება „გამგეობის" მიერ „ბაზაში" არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით რაიმე სახის სოციალური დახმარების (ფულადი ან არაფულადი) გაცემას ან არგაცემას;

3. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტის (გაუქმება, ძალდაკარგულად გამოცხადება) შემთხვევაშიც.

მუხლი 8. მემორანდუმის მოქმედების ვადა და ცვლილებები მემორანდუმში

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით;

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ მემორანდუმის გაგრძელების სურვილს, ეს მემორანდუმი შეწყვეტილად ითვლება. ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა მოქმედებს ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლიანი მოქმედების ვადის ამოწურვისას.

3. წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, მემორანდუმის ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე მემორანდუმი ითვლება შეწყვეტილად;

4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით;

5. მემორანდუმის მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ მემორანდუმის მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

მუხლი 9. სხვა პირობები

1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

2. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

3. მემორანდუმის ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N189
საიდენტიფიკაციო კოდი: 244688600

კობა სონღულაშვილი
დირექტორის მოადგილე

გოჩა ქაჯაია
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი